საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2013 წლის ანგარიში

შინაარსი

შესავალი	----------	3
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი	----------	7
მეზღვაურთა დეპარტამენტი	----------	11
საზღვაო უსაფთხოების დეპარტამენტი	----------	14
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	----------	19
იურიდიული დეპარტამენტი	----------	22
საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი	----------	30
ფინანსური ანგარიში 2013 წელი	----------	37

შესავალი

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის დაშლას და სამი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, აღნიშნულის საფუძველზე 2011 წლის აპრილში ჩამოყალიბდა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სააგენტოს ძირითადი მიზნები და ფუნქციები:

მიზნები:

- საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველყოფა საქართველოს ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში;
- საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საზღვაო სფეროში შემუშავებული მოთხოვნებისა და სტანდარტების ნაციონალური მასშტაბით იმპლემენტაცია.
- საქართველოს დროშის ქვეშ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გემების მოზიდვა და რეგისტრაცია.

ფუნქციები:

- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება და დროშის სახელმწიფო კონტროლი;
- საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირება და ზედამხედველობა;
- მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ნავსასდგურების სახელმწიფო კნოტროლის უზრუნველყოფა;
- სამძებრო, სამაშველო და ნავთობის დაღვრის სალიკვიდაციო ოპერაციების კოორდინაცია;
- საზღვაო სფეროს სამართლებრივი რეგულირება;

სააგენტო შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან:

- საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრი;
- მეზღვაურთა დეპარტამენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი;
- გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი;
- ანალიტიკური სამსახური.

სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა:



სააგენტოს პრიორიტეტებს მისი შექმნის დღიდან წარმოდაგენდა:

- ქართველ მეზღვაურთა კომპეტენციის სერტიფიკატების აღიარება საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით ევროკავშირის მიერ;
- საქართველოს სახელით გაცემული კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების გაყალბების თავიდან აცილება (დოკუმენტების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება);
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულებისათვის საჭირო საკანონდმებლო ცვლილებების მიღება.
- საზღვაო სასწავლო დაწესებულებებშიმეზღვაურთა განათლებაზე და წვრთნაზე სათანადო ზედამხედველობა;
- საზღვაო სამედიცინო დაწესებულებების გამკაცრებული ზედამხედველობა;
- ქართული დროშის იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო მასშტაბით ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლის ინსპექციების კუთხით.
- შეზღუდვები საკლასიფიკაციო საზოგადოებების აღიარებაზე;
- საერთაშორისო ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა ISO 9001:2008;

ზემოაღნიშნული მიზნების უმეტესი ნაწილი განხორციელდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, რაც დასტურია იმისა , რომ სააგენტომ შეძლო რეფორმის განხორციელება და საქართველოზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

2013 წელი ნაყოფიერი იყო საზღვაო ტრანსპორტის სფეროსთვის, მნიშვნელოვანი პროგრესი და დიდი წარმატებები იქნა მიღწეული საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯის, კიდევ უფრო გაძლიერებასა და გამტკიცებაში. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ 2013 წლის განმავლობაში მოპოვებული მიღწევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

აზერბაიჯანის გემების შორ მანძილზე იდენტიფიცირების (LRIT) ნაციონალურ მონაცემთა-ცენტრზე მიერთება - 2013 წლის იანვარს, საზღვაო ტრანსპორტის სააააგენტო მიუერთდა აზებრაიჯანის გემების შორ მანძილზე იდენტიფიცირების და თვალთვალის სისტემას (LRIT), რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის, კერძოდ SOLAS ის კონვენციის V/ 19-1 რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ნაოსნობის მონიტორინგი უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით;

- **DEKRA GmBH-ის მიერ ჩატარებული სადამკვირვებლო აუდიტის წარმატებით გავლა და ISO 9001:2008-ს სერტიფიკატის შენარჩუნება** - რაც კიდევ ერთხელ

დასტურია იმისა, რომ სააგენტო ორიენტირებულია ხარისხის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებასა და მომხმარებლის კმაყოფილების ამაღლებაზე, ასევე შეუძლია ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს;

- **ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართველი მეზღვაურების კომპეტენციის სერტიფიკატების ხელახალი აღიარების შესახებ** - რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველ მეზღვაურებს ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დასაქმების უფლება და შესაძლებლობა მიეცათ. აღსანიშნია, რომ მეზღვაურის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა. შესაბამისად, აჭარის რეგიონი, როგორც მეზღვაურთა მთავარი სამჭედლო, მიიღებს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს;
- **მოხდა ქართული დროშის ქვეშ 3 ტანკერის („ELSA", "HANA" „LETTA") დარეგისტრირება** - კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ტონაჟის გაზრდის კუთხით;
- **სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს" (სგს) ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დაიწერილი პროგრამის სამუშაო რეჟიმში გაშვება** - პროგრამის საშუალებით იბეჭდება სააგენტოს მიერ შემუშავებული მეზღვაურთა დოკუმენტაციის ფორმები ახალი, თანამედროვე, მოქნილი დიზაინითა და მაღალი დამცავი ნიშნებით. რაც გარანტიაა გაცემული დოკუმენტის გაყალბების თავიდან აცილებისა;
- **გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები** იამაიკა, კამბოჯის სამეფო, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა ქართველ მეზღვაურთა სამუშაო დიპლომების აღიარების თაობაზე;
- **2013 წლის 22 ნოემბერის ევროკავშირის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო აქტიური მუშაობა** ევროკავშირის წევრი სახემწიფოების (პორტუგალია, პოლონეთი, ირლანდია, გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი, ესტონეთი, დანია, ბელგია, ხორვატია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, მალტა რუმინეთი, ლიტვა, ნიდერლანდები, სლოვენია, ჩეხეთი, ბულგარეთი, ლატვია, იტალია, კვიპროსი) საზღვაო ადმინისტრაციებს დიპლომატიური არხების გამოყენებით დაეგზავნათ წერილები STCW კონვენციის I/10 რეგულაციის თანახმად მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ორმხრივი აღიარების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმების განახლებასა ან/ და ხელახალ გაფორმებასთან დაკავშირებით.

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი:

საანგარიშო წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ განხორციელებული და განსახოცილებელი პროექტების შესახებ ინფომაცია მოცემულია **ცხრილი 1-ში.**

ცხრილი 1

1	აქტიური მუშაობა ჩატარდა SOLAS კონვენციის სხვადასხვა სახის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რიგი ღონისძიებების გასატარებლად.
2	დასრულდა გემებზე სამედიცინო სტანდარტების ჩამოყალიბების პროცედურები
3	დამუშავდა შიდა ნაოსნობის ფლოტისათვის ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო აღჭურვილობების
4	საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 3 გემი (ტანკერი)
5	შემუშავდა გემებისათვის სხვადასხვა სახის ჟურნალები.
6	მომზადდა ცვლილებათა პროექტი შიდა ნაოსნობაში მცურავი 100 რეგისტრულ ტონაზე მეტი გემებისათვის ეკიპაჟის შემადგენლობის მინიმალურ დაკომპლექტებასთან დაკავშირებით;
7	განხორციელდა აზეირბაიჯანის ნაციონალურ (LRIT) მონაცემთა ცენტრთან (NDC) მიერთება.
8	მომზადდა სააგენტოს მომსახურების საფსურებში ცვლილებები იხტებთან, სასეირნო კატარღებთან და მოტონავების რეგისტრაციასთან მიმართებაში .
9	შემოუშავდა გემის სარეგისტრაციო მოწმობების ახალი ფორმები.
10	მოეწერა ხელი 9 ხელშეკრულებას, იმ აგენტებთან რომლებიც მოიზიდავენ გემებს საქართველოს დროშის ქვეშ.
11	მომზადდა ექსპლუატაციიდან გასული გემის (Lay-up) პროცედურები და დროშის ინსპექტირების პროგრამა (FSI Program)
12	გაკეთდა ცვლილება 100 და ნაკლები რეგ. ტონის გემების მინიმალური ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტებაზე.

2013 წლის განმავლობაში განხორციელდა როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რეგისტრაცია საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში, აღნიშნულის შესახებ სტატისტიკა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამებზე.

დიაგრამა 1 – 100 ტონაზე ნაკლები ტევადობის გემები



დიაგრამა 2 -100 ტონაზე მეტი ტევადობის გემები



დიაგრამა 3 - 100 ტონაზე ნაკლები ტევადობის გემები (2012-2013 წწ.)



დიაგრამა 4 - 100 ტონაზე მეტი ტევადობის გემები (2012-2013 წწ.)



მცურავის საშუალებების რეგისტრაციის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა:

ცხრილი 2

გემის ტიპი	**პირველადი/ დროებითი რეგისტრაცია**	**ყოველწლიური განახლება**	**ამოღებულია რეესტრიდან**	**დროებითი მოხსნა**	**მუდმივი რეგისტრაცია**	**დროებითი რეგისტრაციის გაგრძელება**
100 რეგ.ტონაზე მეტი ტევადობის გემი	47	39	12	5	1	-
100 რეგ.ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი	338	37	-	-	-	-
სულ	**385**	**78**	**12**	**5**	**1**	**-**

ცხრილი 3

	გემის ტიპი	
სერტიფიკატების დასახელება	*100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის გემი*	*100 რეგ. ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი*
გემის სარეგისტრაციო მოწმობის ამონაწერი	17	-
საერთაშორისო უსაფრთხოების სერტიფიკატი	1	-
გემის უწყვეტი ისტორიის მოწმობა	9	-
გემის სარეგისტრაციო მოწმობა	52	375
ცნობა იპოთეკაზე	9	1
გემზე გამონაკლისის დაშვება	4	-
გემის ინსპექტირება	57	-
სახომალდო რადიოსადგურის მოწმობა	60	51
ეკიპაჟის უსაფრთხო შემადგენლობის მოწმობა	62	-
დუბლიკატი	3	-
დამოწმება	29	-

მეზღვაურთა დეპარტამენტი

საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ მიიღო მეზღვაურთა სერტიფიცირების მომსახურებაზე საფასურის 50%-ით შემცირების გადაწყვეტილება.

დიაგრამა 5 - მეზღვაურებზე გაცემული სერტიფიკატები



სერტიფიკატების ნამდვილობის დადასტურების მოთხოვნა (ვერიფიკაცია) –

სერტიფიკატების ნამდვილობის დადასტურებაზე რეაგირება მიეცა 1475 მოთხოვნას, მათ შორის გამოვლინდა 26 ყალბი დოკუმენტი.

საანგარიშო პრიოდში ტესტური გამოცდა გაიარა 1051 მეზღვაურმა და გასაუბრება ჩაუტარდა 352 მეზღვაურს.

სააგენტოს მიერ აღიარებულ იქნა საზღვაო საწვრთნელი ცენტრების 60 სასწავლო კურსი.

2012-2013 წწ. გაცემული დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაცია ასახულია ქვემოთ მოაყვანილ დიაგრამა 6-ში.

დიაგრამა 6 -მეზგვაურებზე გაცემული სერტიფიკატები 2012-2013 წწ.



მეზღვაურთა ყალბი დოკუმენტების აღმოჩენის სტატისტიკა კლებულობს ყოველ წელს ვინაიდან საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო მუდმივად ახორციელებს სერტიფიკატების ხარისხის გაუმჯობესებას და დახვეწას. ქვემოთ მოყვანილ **დიაგრამა 7-ში** ასახულია ყალბი დოკუმენტაციის აღმოჩენის ციფრული მაჩვენებელი.

დიაგრამა 7 - გაყალბების გამოვლენის შემთხვევები



საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტმანეტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში გემების შესვლა/გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ტერმინალს.

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობის სტატისტიკა შემდეგნაირია (**დიაგრამა 8):**

დიაგრამა 8 - გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში



2013 წლის განმავლობაში ნავსადგურებში შემოსული გემების რაოდენობა წარმოდგენილია **დიაგრამა 9-ით.**

დიაგრამა 9 - თითოეულ ნავსადგურში შემოსული გემების რაოდენობა 2013 წ.



ქვემოთ წარმოდგენილია დიაგრამები , რომლებიც ასახვენ გემების მოძრაობას საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) 2012-2013 წლებში.

დიაგრამა 10 - ბათუმის ნავსადგურში გემების მოძრაობა 2012-2013 წწ.



დიაგრამა 11 - ფოთის ნავსადგურში გემების მოძრაობა 2012-2013 წწ.



დიაგრამა 12 - ყულევის ნავსადგურში გემების მოძრაობა 2012-2013 წწ.



დიაგრამა 13 -ზე წარმოდგენილია თითოეულ ნავსადგურში შემოსული ტონაჟი 2013 წლის განმავლობაში.

დიაგრამა 13



როგორც ზემოთაღინიშნა ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი ახორციელებს ნავსადგურებში შემოსული გემების დათვარიელებას/კონტროლს. საანგარიშო წლის განმავლობაში შემოწმდა 572 გემი.

დიაგრამა 14 - შემოწმებული გმების რაოდენობა



შემოწმებული 572 გემიდან , 204 გემს დაუფიქსირდა შენიშვნა, რაც ითვლის 1572 შენიშვნას მთლიანობაში. (**დიაგრამა 15**)

დიაგრამა 15 - შემოწმებული გემები და შენიშვნების რაოდენობა



წლიას განმავლობაში უამინდობის გამო საჭირო გახდა საქართველოს ნავსადგურების რამოდენიჯერმე დახურვა, აღნიშნული შესახებ ინფორმაცია მოცემულია **ცხრილი 4**

ცხრილი 4

თვე	ბათუმი	ფოთი	ყულევი	ჯამი
იანვარი	110:40 სთ	125:25 სთ	136:2 სთ	371:85 სთ
თებერვალი	23:30 სთ	119:50 სთ	70:5 სთ	262:8 სთ
მარტი	159:00 სთ	246:40 სთ	216:00 სთ	621:40 სთ
აპრილი	13:00 სთ	130:15 სთ	154:00 სთ	297:15 სთ
მაისი	00:00 სთ	34:05 სთ	12:00 სთ	46:05 სთ
ივნისი	00:00 სთ	95:10 სთ	107:00 სთ	202:10 სთ
ივლისი	00:00 სთ	210:40 სთ	176:00 სთ	386:40 სთ
აგვისტო	00:00 სთ	31:20 სთ	33:00 სთ	64:20 სთ
სექტემბერი	208:00 სთ	39:15 სთ	179:00 სთ	426:15 სთ
ოქტომბერი	75:20 სთ	197:25 სთ	169:00 სთ	441:45 სთ
ნოემბერი	02:20 სთ	97:30 სთ	93:00 სთ	192:50 სთ
დეკემბერი	114:00 სთ	184:35 სთ	180:00 სთ	478:30 სთ

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

2012 -2014 წლის ღონისძიებები

სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან (IMO) - სააგენტოს თანმშრომლები ინტენსიურად ესწრებიან სხვადასხვა კომიტეტების და ქვეკომიტეტების სხდომებს. ასევე აქტიურ მონაწილობას იღებს ევროკავრისის მიერ ორგანიზულ პროექტებში (TAIEX, TRACECA II). თანამშრომლობს Paris MoU, Black Sea MoU და Tokyo MoU-თან. ასევე აქტიურად ვესწრებით შავი ზღვის კომისიის სხდომებს.

სააგენტო მუშაობს TWINNING-ის პროექტზე. ესპანეთის სამეფოდან მივიღეთ წერილი, რომელიც შეეხება ინტერესს საზღვაო სფეროს TWINNING-ის პროგრამის განახორციელებას საქართველოში.

თანამშრომლობა IMO-სთან

2012 წლის 16 და 17 დეკემბერს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივით და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ეგიდით ბათუმში გამართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საზღვაო ხელისუფლებების რეგიონალური თანამშრომლობის ფორუმი.
ფორუმში მონაწილეობის მისაღებად პირველად საქართველოში ჩამობრძანდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ბ-ნი კოჯი სეკიმიცუ.

2013 წელს სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების შემდეგ სხდომებს სხდომებს:

- იურიდიული კომიტეტის რიგით მე-100 სხდომა.
- გარემოს დაცვის კომიტეტის რიგით 65-ე სხდომა
- საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის რიგით 92-ე სხდომა.
- ტექნიკური თანამშრომლობის რიგით სხდომა.
- 28-ე გენერალური ასამბლეა.

2013 წლის მაისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით და სართაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ინიციატივით, ქ. ბათუმში გაიმართა ბალასტური წყლის მართვის სემინარი.

2014 წლის მარტში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის და საზღვაო ტრანსპორტის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა ISPS (The International Ship and Port Facility Security) სემინარი.

2013 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში გააგზავნა სრულყოფილი ყოველწლიური ანგარიში.

სააგენტომ გააკეთა განაცხადი VIMSAS (საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის არასავალდებული აუდიტის სქემა) აუდიტზე. ზემოაღნიშნული აუდიტის გავლა მიზანშეწონილია, რადგან 2015-დან აუდიტის გავლა სავალდებულო იქნება ყველა წევრი სახელწიფოსთვის.

2014 წელს იგეგმება შემდეგი კონვენციების რატიფიცირება:

- C185 - Seafarers' Identity Documents Convention (Revised), 2003 (No. 185) -ის რატიფიცირება.
- "MARPOL 73/78 - Annex VI"-ის კონვენციის რატიფიცირება
- "International Convention for the Control and Management of Ships´ Ballast Water and Sediments"-ის კონვენციის რატიფიცირება.
- International Convention on Civil Liability for Bunker Oil Pollution Damage (BUNKER) კონვენციაზე მიერთება.
- Convention on the International Maritime Satellite Organization-ის რატიფიცირება.

თანამშრომლობა ევროკავშირთან

2012 წლის ოქტომბერს, კვრიპროსის რესპუბლიკის მხარდაჭერით საქართველოს ოფიცილაური ვიზიტით ეწვია ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აუდიტი. აუდიტის დასკვნის საფუძველზე 2013 წლის მაისში , სააგენტომ EMSA-ს წარუდგინა საქართველოს სახელით მომზადებული მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა. EMSA-ს აუდიტის დასკვნის საფუძველზე 2013 წლის 22 ნომბერს COSS (Committee on Safe Seas and the Prevention of Pollution from Ships) კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხდა საქართველოში გაცემული მეზღვაურის სერთიფიკატების ხელახალი აღიარება, რაც საშუალებს აძლევს ქართველ მეზღვაურებს დასაქმდნენ ევროკავშრის ქვეყნების დროში ქვეშ მცურავ გემებზე.

2012-14 წლის განმავლობაში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი მეზღვაურთა კომპეტენეციის დამადასტურებელი სერთიფიკატების აღიარების შესახებ შემდეგ ქვეყნებთან:

- სანტ კრისტოფერი და ნევისი 2012
- იამაიკა 2013
- კამბოჯიის სამეფო 2013
- ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა 2013

- ანტიგუა და ბარბუდა-2014
- კვიპროსი 2014
- რუმინეთი 2014
- ლატვია 2014

სააგენტო აქტიურად არის ჩართული ევროკომისიის პროქტში TRACECA 2 (საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება). რომელიც დაიწყო 2013 წლის 15 იანვარს და დასრულდება 2016 წლის 15 ინავარს. პროექტის ძირითადი მიზანი არის შავი ზღვის და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების მხადაჭერა და დახმარება , რათა მოხდეს რატიფიცირება და იმპლემენცატია სართაშორისო საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების კონვენციების. ასევე უსაფრთხო საზღვაო გადაზიდვების და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მხარდაჭერა.

2014 წელს სააგენტომ ევროკავშირიდან მიიღო დაფინანსება MLC (საზღვაო შრომის კონვენცია) პროექტის განსახორციელებლად (250.000 აშშ დოლარი) .პროექტი იძლევა საშუალებას დაიხვეწოს საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა ევროკომიისიის მოთხოვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, TRACECA-ს პროექტის ფარგლებში, მოხდება MLC პროქტის განხორციელება.

2011-2012 წლებში საგენტომ მიიღო დაფინანსება TEAX პროგრამაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მოძიება. პროქტი განახლდა 2014 წელს. ა/წლის მარტში დაგეგმილია პირველი’ Expert Missiont on compliance with the EU acquis in the field of maritime transport.’

იურიდიული დეპარტამენტი

1. 2012 წლის 16-25 ოქტომბერს ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტომ განახორციელა საქართველოს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის აუდიტი, რომლის დასკვნის საფუძველზე ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოში წარდგენილ იქნა სააგენტოს მიერ შემუშავებული ე.წ. მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა. 2013 წლის 22 ნოემბერს ევროკომისიის ევროპის საზღვაო უსაფრთხოებისა და გემებიდან გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების კომიტეტზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ევროკავშირის მიერ საქართველოს მიერ გაცემული მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარებას.
2. 2013 წლის ივლისის თვეში სააგენტომ შეამცირა მეზღვაურთა სერტიფიკატების საფასური 50%-ით.
3. მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებაში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნებისა და სტანდარტების დანერგვის მიზნით შემუშავებულ იქნა მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტები;
4. 2013 წლის აგვისტოდან დაიწყო თევზსაჭერი გემის ეკიპაჟისა და პერსონალის წევრებზე გასაცემი სერტიფიკატების ფორმების გაცემა „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გაცემული სერტიფიკატების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
5. 2013 წლის მაისში ხელი მოეწერა საქართველოს საზღვაო ნავსადგურის წყლებში, შიდა აკვატორიაში, ფარვატერზე, გემების ღუზაზე დგომისა და ინტენსიური მოძრაობის ადგილებში ცოცხალი რესურსების რეწვის, სათხევლის და სხვა სახის ბადის გამართვის, აგრეთვე ნავმისადგომიდან ანკესით ან სხვა საშუალებით თევზჭერის აკრძალვის წესს, რომელიც უზრუნველყოფს ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში ნაოსნობის უსაფრთხოებას. აღნიშნული წესი ძალაში შევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ.

საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა ტექნიკური რეგლამენტები, კერძოდ:

1. „ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ" დამტკიცების თაობაზე“;
2. „ტექნიკური რეგლამენტი „სალოცმანო სამსახურის საქმიანობის და ლოცმანის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“;
3. „ტექნიკური რეგლამენტი "საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე“;
4. „ტექნიკური რეგლამენტი „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მეზღვაურის სამედიცინო მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის შერჩევის და პერიოდული მონიტორინგის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ“.

აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რიგ საკანონმდებლო აქტებში განხორციელდა ცვლილებები და წარედგინა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად, კერძოდ:

1. „საქართველოში უცხოეთის გემებისათვის ღია ნავსადგურების ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
2. „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილ იქნა შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

1. „მობილური კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ“ – (IMSO). IMSO - არის საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგნიზაცია, რომელიც მონიტორინგს უწევს გლობალური საზვაო კავშირის სისტემასთან (GMDSS) დაკავშირებით IMO-ს მოთხოვნების შესრულებადობას, ასევე ის არის IMO-ს მიერ

დანიშნულ LRIT – ის კოორდინატორი და კოორდინაციას უწევს LRIT – ის ფუნქციონირებას მსოფლიოში.

IMSO ფუნქციონირებს სადამფუძნებლო დოკუმენტის – „საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგანიზაციის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანება მოითხოვს „საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგანიზაციის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირებას საქართველოს მიერ.

ამ დროისათვის მოქმედი სადამფუძნებლო დოკუმენტით, საქართველოს აღნიშნულ კონვენციასთან მიერთებით საშუალება მიეცემა ჩაერთოს GMDSS პროვაიდერის (ების) მიერ განხორციელებული მომსახურების მონიტორინგში, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინადიან საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემები არიან GMDSS–ს სერვისის მომხმარებლები. ასევე, IMSO IMO–ს მიერ დანიშნულია გემების შორ მანძილზე იდენტიფიცირებისა და დევნის სისტემის (LRIT) კოორდინატორად. IMSO ახორციელებს LRIT-ის საინფორმაციო ცენტრებისა და LRIT-ით ინფორმაციის გაცვლის მონიტორინგს და შემდგომში მონიტორინგის შედეგების ანგარიშგებას საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტთან (MSC). ვინაიდან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსათვის ამ ეტაპისათვის პრიორიტეტული საკითხია ჩაერთოს LRIT-ის სისტემაში, IMSO-სთან მიერთება ამ მიმართულებით გადადგმული ერთ–ერთი მნიშვნლოვანი ნაბიჯი იქნება.

რაც შეეხება სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებებს IMSO–ში გაერთიანების შემდგომ, კონვენციის მოთხოვნა წევრი სახელმწიფოების მიმართ არის მხოლოდ ის, რომ კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა საშუალება მისცენ GMDSS პროვაიდერებს განახორციელონ შესაბამისი მომსახურება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. სხვა სახის განსაკუთრებულ ვალდებულებას, კონვენცია არ უწესებს წევრ სახელმწიფოებს. შესაბამისად, აღნიშნულ კონვენციასთან მიერთება არ გამოიწვევს საკანონმდებლო ცვლილებებს.

2. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მეზღვაურთა პირადობის მოწმობების შესახებ“ - (C 185). საქართველოში მიმდინარე საზღვაო სფეროს რეფორმა განუხრელად არის დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასთან. ზემოთხსენებული კონვენცია, რომელიც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი შრომის ნაყოფს წარმოადგენს, ამკვიდრებს იმ სტანდარტებსა და მოთხოვნებს მეზღვაურთა პირადობის მოწმობებთან მიმართებაში, რომლებიც დღეს უკვე მსოფლიოში ფართოდ

გამოიყენება და წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს ნავსადგურებში მეზღვაურთა უპრობლემო შესვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

„მეზღვაურის წიგნაკის ფორმის, მისი დამზადების, გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 16 იანვარის №001 ბრძანების შესაბამისად, საქართველოში უკვე დამკვიდრდა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მეზღვაურთა პირადობის მოწმობების შესახებ“ კონვენციით რეგულირდება. აღნიშნული მეზღვაურის წიგნაკის და სერტიფიკატების ახალი ფორმები, სააგენტომ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კონვენციასთან. ამასთან, მეზღვაურთა წიგნაკის ახალი ფორმა, მეზღვაურის პირადობის მონაცემებთან ერთად შეიცავს მონაცემებს მეზღვაურთა შრომითი საქმიანობისა და მათი ნაოსნობის სტაჟის შესახებ ასევე, სამედიცინო დათვალიერების შესახებ მონაცემებს. ბრძანება, კონვენციიდან გამომდინარე ითვალისწინებს წიგნაკის დამზადების წესსა და დაცვის მექანიზმებს, ასევე მასზე დასატან ინფორმაციას.

კონვენციიდან გამომდინარე წიგნაკის ფორმატი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს ICAO–ს 9303 დოკუმენტში მოცემულ ნორმებს, „საიდენტიფიკაციო ბარათები - მანქანა-კითხვადი სამგზავრო დოკუმენტები”. აღნიშნულის გათვალისწინებით მეზღვაურის წიგნაკის ბლანკი არის მანქანა-კითხვადი დოკუმენტი.

კონვენციის დებულებებს დეტალურად იმეორებს და აზუსტებს ბრძანების ტექსტიც, კერძოდ, განისაზღვრება მეზღვაურის წიგნაკის მასალა და დაცვის საშუალებები, ასევე მეზღვაურის წიგნაკზე დასატანი ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტოს დირექტორის ბრძანება სრულ შესაბამისობაშია „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მეზღვაურთა პირადობის მოწმობების შესახებ“ და მიზანშეწონილია წარმოდგენილი კონვენციის საქართველოს მიერ მისი სავალდებულოდ აღიარება.

3. „გემების წყლის ბალასტისა და დანალექების კონტროლისა და მართვის შესახებ“ – BWM. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ (IMO) 2004 წლის 16 თებერვალს მიიღო „გემების წყლის ბალასტისა და დანალექების კონტროლისა და მართვის საერთაშორისო კონვენცია“. აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს ზღვისა და სანაპირო ეკოსისტემის დაცვას და მდგრად გამოყენებას. ასევე წყლის მავნე ნივთიერებით და პათოგენებით მიყენებული ზიანის შემცირებას და საბოლოოდ

აღმოფხვრის საშუალებებს. იგი ავალდებულებს მხარეებს, ეცადონ, არ დააზიანონ და არ მიაყენონ ზარალი საკუთარ და სხვა სახელმწიფოებს, საზღვაო გარემოს, ადამიანების ჯანმრთელობას, წყლის ხარისხსა და რესურსებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ბალასტური წყლის მართვისა და სტანდარტების უწყვეტ განვითარებას წყლის მავნე ორგანიზმებისა და პათოგენების გადატანის პრევენციის შემცირებისა და საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით გემების ბალასტური წყლისა და დანალექების კონტროლისა და მართვის მიზნით. კონვენციის მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წინამდებარე კონვენციასთან შესაბამისობის მიზნით გამოყენებული ბალასტური წყლის მართვის პრაქტიკა უფრო დიდ ზიანს არ აყენებდეს საკუთარ და სხვა სახელმწიფოების საზღვაო გარემოს. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია გემების ბალასტური წყლისა და დანალექების კონტროლისა და მართვის საერთაშორისო კონვენციის ძალაში შესვლით.

შავი ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და მავნე პათოგენური ორგანიზმების შავ ზღვაში შემოჭრის მინიმიზაცია უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოსთვის, წარმოდგენილი კონვენცია, როგორც აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი რეგულირების მექანიზმია. ქართული დროშით მცურავი გემების გარემოს დაცვის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველო შეუერთდეს „გემების წყლის ბალასტისა და დანალექების კონტროლისა და მართვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილია შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცვლილების პროექტები:

1. „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს შენიშვნები. კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა და ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. აღსანიშნია, რომ კანონის პროექტი დამუშავებულია საერთო ევროპული გამოცდილების შესაბამისად, რაც კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით. კანონპროექტის მიზანია საქართველოში მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების

სრულყოფა, მათი მეზღვაურთა „მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ კონვენციისა“ და STCW კოდექსთან (2010 წლის მანილას ცვლილებებით) შესაბამისობაში მოყვანა და აღნიშნული საერთაშორისო აქტების მოთხოვნების იმპლემენტაცია, მეზღვაურთა კომპლექსური და ყოვლისმომცველი წვრთნის სისტემის, მეზღვაურთა მაღალკვალიფიციური სწავლებისა და პერიოდული გადამზადების პირობების შექმნა, მეზღვაურთა წვრთნის განმახორციელებელი სასწავლო დაწესებულებების ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა და მათზე ზედამხედველობის სისტემის ფორმირება, მეზღვაურთა მომზადების თაობაზე საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებისა და სათანადო სარგებლობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. კანონის პროექტი სრულად იზიარებს ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც შეეხება საზღვაო პროფესიის რეგულირებად პროფესიად განსაზღვრას. „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „სააგენტო უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით თანამშრომლობს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობს მეზღვაურთა მომზადების განმახორციელებელი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და მათი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, შესაბამის ავტორიზაციის საბჭოში და აკრედიტაციის საბჭოში მონაწილეობის გზით“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე საზღვაო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამები შევა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხაში.

კანონპროექტის მიზანია დაკონკრეტდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლი, გამომდინარე იქედან, რომ ზოგადი განმარტების შესაბამისად საზღვაო სფერო შედის რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებში, რადგან საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის კანონმდებლობა აწესებს დამატებით მოთხოვნებს, თუმცა იგი არ არის შეტანილი შესაბამის ნუსხაში. ,,საზღვაო'' განათლების, რეგულირებად აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრის შემთხვევაში, აღნიშნული პროგრამები აუცილებლად საჭიროებენ აკრედიტაციას, ხოლო დაწესებულებებს, რომლებიც ამჟამად ახორციელებენ საზღვაო პროგრამებს არ აქვთ ყველა პროგრამა აკრედიტებული. შესაბამისად, ,,საზღვაო'' განათლების რეგულირებად აკადემიურ

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრის შემთხვევაში, თუ დაწესებულებების პროგრამებმა ვერ გაიარეს აკრედიტაცია, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი. შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალ დებულებას დაემატა მე-13 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საზღვაო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს მიეცემათ უფლება, განახორციელონ საზღვაო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის მიუხედავად 2015-2016 წლის აკადემიური წლის დაწყებამდე.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის პროექტი. რომელიც განსაზღვრავს „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესი“-ს დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომას.

აღნიშნული ბრძანებით დარეგულირდება საქართველოს ნავსადგურებსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის საკითხები. ვინაიდან, ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის წესის დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, მომზადდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული კანონიდან გამომდინარე ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის ზომა. კოდექსის მოქმედ რედაქციას, წარდგენილი პროექტის საფუძველზე ემატება 861 მუხლი, რაც ითვალისწინებს თევზჭერის აკრძალვას საქართველოს საზღვაო ნავსადგურის წყლებში, შიდა აკვატორიაში, ფარვატერზე, გემების ღუზაზე დგომისა და ინტენსიური მოძრაობის ადგილებში ცოცხალი რესურსების რეწვის, სათხევლის და სხვა სახის ბადის გამართვის, აგრეთვე ნავმისადგომიდან ანკესით ან სხვა საშუალებებით.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის და საქმის განხილვის უფლებამოსილება მიენიჭება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს.

4. „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო სამაშველო სამსახურის საქმიანობის სრულყოფას. 2010 წელს საქართველოში დაწყებული საზღვაო სფეროს რეფორმა მიზნად ისახავს საზღვაო სფეროს სრულ და ყოვლისმომცველ რეფორმირებას. სააგენტოს დებულებით განისაზღვრა მისი კომპეტენციები საზღვაო საძიებო-სამაშველო სამუშაოების კუთხით. კერძოდ, სააგენტოს დაქვემდებარებაშია საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი (MRCC), რომლის საქმიანობის საფუძვლებიც რეგულირდება საქართველოს კანონით „საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ“. საზღვაო სფეროში შექმნილი ახალი რეალიებისა და ახალი საკანონმდებლო რეგულირებების ძალაში შესვლის გამო დღის წესრიგში დადგა აღნიშნულ კანონში ცვლილებების განხორციელება.

კანონპროექტის მიღების მიზანია ახალი რეალიების გათვალისწინებით კანონში ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის პასუხისმგებლობის მკაფიოდ განსაზღვრა საქართველოს პასუხისმგებლობის საძიებო-სამაშველო რაიონში. ამასთან არსებული რეალობის გათვალისწინებით მცირდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები იმ პირთათვის, რომლებიც დაკავდებიან საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრში ამათუიმ თანამდებობებზე. კანონპროექტის მიღების მთავარი მიზანია ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი ბაზის რეფორმირება და სრულყოფა.

კანონის პროექტით განისაზღვრება საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციები და ზუსტდება პასუხისმგებლობის არეალი საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სააგენტოს ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროს ნავსადგურის კაპიტანი ხდება ადგილზე კოორდინატორი ნავსადგურში, ავარიულ შემთხვევებზე დაუყოვნებლივი რეაგირების თვალსაზრისით. ამასთან, ერთობლივი კოორდინირებული ქმედების თვალსაზრისით საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ახალი დასახელებების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ მოქმედებათა კოორდინაციას.

4. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ ცვლილების პროექტი, რომელიც შეეხება ლიალურ წყლებთან დაკავშირებულ რეგულირებას;

5. ნავთობის დაღვრის ეროვნულ გეგმასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სსსც ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას.

სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი და ტრანზიტული) ---------- 4342.

საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში -------17.

სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

ცხრილი5

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	-	-
MF	-	-
HF	-	-
INM C	-	-
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	3 (საზღვაო); 2 (საავიაციო)	3 (საზღვაო); 1 (საავიაციო)
სულ:	**5**	**4**

სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

ცხრილი 6

სისტემა	**საქართველოს დროშით მცურავი გემები**	**სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები**
VHF	-	-
MF	-	-
HF	-	-
INM C	-	1
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	14 (საზღვაო); 1 (საავიაციო)	17 (საზღვაო); 5 (საავიაციო)
სულ:	**15**	**23**

გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შეტყობინება ---------- 1.

აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა (ცხრილი 7)

№	გემის სახელი	გემის ტიპი	დროშა / სახმობი	MMSI №	IMO №	აფხაზეთის ნავსადგური თარიღი	გემთმფლობელი/ მენეჯერი
1	2	3	4	5	6	7	8
1	BARBAROS-3	ამწე კრანი	რუსეთი	273054913	8419130	ოჩამჩირე 06.01.2013	RUSSIA. Ul. PROKHOROVA 1A, NOVOROSSIYSK, KRASNODARSKIY kray, 353915, Russia. Phone: +7 8617 – 760032, 641677 Fax: +7 8617 - 760032
2	SAVA	სატვირთო გემი	სიერრა ლეონე / 9LD2386	667005086	8420103	სოხუმი 08.02.2013	Manager Company MIMOSA MANAGEMENT LTD Country Turkey Address DAIRE 103, KAT 1, KEMANKES CADDESI 23, K.KARAMUSTAFAPASA M, BEYOGLU, 34425 ISTANBUL, TURKEY Phone +90 212 243 0656 Fax +90 212 249 9773 E-mail Web Registered owner Company MIMOSA MANAGEMENT LTD Country Turkey Address DAIRE 103, KAT 1, KEMANKES CADDESI 23, K.KARAMUSTAFAPASA M, BEYOGLU, 34425 ISTANBUL, TURKEY Phone +90 212 243 0656 Fax +90 212 249 9773 E-mail Web
3	SAVA	სატვირთო გემი	სიერრა ლეონე / 9LD2386	667005086	8420103	ოჩამჩირე 10.02.2013	Manager Company MIMOSA MANAGEMENT LTD Country Turkey Address DAIRE 103, KAT 1, KEMANKES CADDESI 23, K.KARAMUSTAFAPASA M, BEYOGLU, 34425 ISTANBUL, TURKEY Phone +90 212 243 0656 Fax +90 212 249 9773 E-mail Web Registered owner Company MIMOSA MANAGEMENT LTD Country Turkey Address DAIRE 103, KAT 1, KEMANKES CADDESI 23, K.KARAMUSTAFAPASA M, BEYOGLU, 34425 ISTANBUL, TURKEY Phone +90 212 243 0656 Fax +90 212 249 9773 E-mail Web
4	AKINSI-1	სატვირთო გემი	რუსეთი / 9LJY6	273350760	8730431	ოჩამჩირე 15.02.2013	RUSSIA. Ul. PROKHOROVA 1A, NOVOROSSIYSK, KRASNODARSKIY kray, 353915, Russia. Phone: +7 8617 – 760032, 641677 Fax: +7 8617 - 760032
5	SEVERNAYA	მიწახაპია	რუსეთი / UDWX	273435350	7391628	ოჩამჩირე 26.02.2013	RUSSIA. Ul. PROKHOROVA 1A, NOVOROSSIYSK, KRASNODARSKIY kray, 353915, Russia. Phone: +7 8617 – 760032, 641677 Fax: +7 8617 - 760032
6	GIFON-2	ბუქსირი	რუსეთი	27344430	8846967	ოჩამჩირე 02.03.2013	RUSSIA. Ul. PROKHOROVA 1A, NOVOROSSIYSK, KRASNODARSKIY kray, 353915, Russia. Phone: +7 8617 – 760032, 641677

							Fax: +7 8617 - 760032
7	REUSHINKA	Motor Hopper	რუსეთი ---------- UFAN	273439450	8928222	ოჩამჩირე 04.03.2013	**Manager** Company TECHFLOT LTD-ST PETERSBURG Country Russia Address PROSPEKT MURINSKIY 2-Y 14, ST PETERSBURG, 194222, RUSSIA Phone Fax E-mail Web **Registered Owner** Company TECHFLOT LTD-ST PETERSBURG Country Russia Address PROSPEKT MURINSKIY 2-Y 14, ST PETERSBURG, 194222, RUSSIA Phone Fax E-mail Web **Builder** Builder TURNU SEVERIN SANTIERUL NAVAL, SEVERIN ROMANIA Place ROMANIA Yard No. 12332000
8	TATARBUNARY	სატვირთო გემი	უკრაინა UZAR	272145000	8918394	ბიჭვინთა 24.03.2013	MANEGER Company: UKRAINIAN DANUBE SHIPPING CO Contry: UKRAINE Addres: 28, Krasoflotskaya str. Oddesa reg. Phone: +38 04841 7-25-46 Fax: +38 04841 7-53-55, 2-55-50 E-mail: udp_t@udp.izmail.uptel.net
9	ULUSOY6	რო-რო	თურქეთი TCCQ6	271000751	7116913	ბიჭვინთა 24.03.2013	MANEGER Company: Ulusoy Denizyollari Isletmecligi A.S Contry: Turkey Addres: Genel MudurLuk, Gazeteci Unit Deniz Sokat No. 16, 3 Levent, 34330 Istabul, Turkey Phone: +90212 693 71 71 Fax: +90212 693 33 06 E-mal: musteri@ulusoy.com.tr Web: http://www.ulusoy.com.tr
10	DEFNE D	ტანკერი	თურქეთი TCVQ	271000568	8003905	ოჩამჩირე 28.04.2013	Company DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD SIRKETI Country Turkey Address Cenab Sahabettin Sokak No. 42, Kosuyolu, Istanbul, Turkey Phone +90 216 327 4437 Fax +90 216 428 5157 E-mail office@densatankers.com Web http://www.densatankers.com **Registered owner** Company DEFNE TANKER ISLETMECILIGI Country Turkey Address CARE OF DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD STI , CENAP SAHABETTIN SOKAK 42, KOSUYOLU MAH, KADIKOY, 34718 ISTANBUL, TURKEY Phone Fax E-mail Web **Builder** Builder J.J. SIETAS KG SCHIFFSWERFT GMBH & CO. Place HAMBURG Yard No. 768

11	RIFT	დამხმარე თევზსაჭერი გემი	რუსეთი UIOK	273411060	8033209	სოხუმი 23.05.2013	**Manager** Company SHIRSHOV OCEANOLOGICAL SOUTH Country Russia Address Gelendzhik, Krasnodarskiy Kray, 353470, Russia Phone +7 86141 23261 Fax +7 86141 23189 E-mail Web **Registered Owner** Company SHIRSHOV OCEANOLOGICAL SOUTH Country Russia Address Gelendzhik, Krasnodarskiy Kray, 353470, Russia Phone +7 86141 23261 Fax +7 86141 23189 E-mail Web
12	Technic Dalgic	წყალქვეშ სამუშაოთა წარმოების გემი	თურქეთი TC4327	271010831	უცნობია	სოხუმი 31.05.2013	უცნობია
13	PASHA	სატვირთო გემი	ტანზანია 5IM284	677018400	7117979	სოხუმი 06.07.2013	**Manager** Company MORLINE GROUP Country Bulgaria Address UL TSAR SIMEON 40, 8000 BOURGAS, BULGARIA Phone Fax E-mail Web **Registered Owner** Company MORLINE GROUP Country Bulgaria Address UL TSAR SIMEON 40, 8000 BOURGAS, BULGARIA Phone Fax E-mail Web
14	DEFNE D	ტანკერი	თურქეთი TCVQ	271000568	8003905	სოხუმი 05.08.2013	Company DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD SIRKETI Country Turkey Address Cenab Sahabettin Sokak No. 42, Kosuyolu, Istanbul, Turkey Phone +90 216 327 4437 Fax +90 216 428 5157 E-mail office@densatankers.com Web http://www.densatankers.com **Registered owner** Company DEFNE TANKER ISLETMECILIGI Country Turkey Address CARE OF DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD STI , CENAP SAHABETTIN SOKAK 42, KOSUYOLU MAH, KADIKOY, 34718 ISTANBUL, TURKEY Phone Fax E-mail Web **Builder** Builder J.J. SIETAS KG SCHIFFSWERFT GMBH & CO. Place HAMBURG Yard No. 768
15	NOMAD EAGLE	სატვირთო გემი	კამბოჯა XURW8	515356000	8883886	სოხუმი 12.09.2013.	**Manager** Company PUTA DENIZCILIK GEMI INSAA Country Turkey Address Daire 19, Ada Yakut 2, Atasehir Bulvari 33, Ataturk Mah, Atasehir, Istanbul, Turkey Phone Fax E-mail Web **Registered Owner** Company VERANO SHIPPING CO INC Country Turkey Address CARE OF PUTA DENIZCILIK GEMI INSAA DONATIM TURIZM IC VE DIS TICARET LTD STI, DAIRE 19, ADA YAKUT 2, ATASEHIR BULVARI 33, Phone Fax E-mail Web
16	OCTOPUS	ბუქსირი	მოლდავეთი ERIE	214180905	8470058	ოჩამჩირე 20.09.2013	მონაცემები არ არის

17	DEFNE D.	ტანკერი	თურქეთი ---------- TCVQ	271000568	8003905	სოხუმი 20.09.2013	Company DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD SIRKETI Country Turkey Address Cenab Sahabettin Sokak No. 42, Kosuyolu, Istanbul, Turkey Phone +90 216 327 4437 Fax +90 216 428 5157 E-mail office@densatankers.com Web http://www.densatankers.com **Registered owner** Company DEFNE TANKER ISLETMECILIGI Country Turkey Address CARE OF DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD STI , CENAP SAHABETTIN SOKAK 42, KOSUYOLU MAH, KADIKOY, 34718 ISTANBUL, TURKEY Phone Fax E-mail Web **Builder** Builder J.J. SIETAS KG SCHIFFSWERFT GMBH & CO. Place HAMBURG Yard No. 768
18	RIFT	დამხმარე თევზსაჭერი გემი	რუსეთი UIOK	273411060	8033209	სოხუმი 15.11.2013	**Manager** Company SHIRSHOV OCEANOLOGICAL SOUTH Country Russia Address Gelendzhik, Krasnodarskiy Kray, 353470, Russia Phone +7 86141 23261 Fax +7 86141 23189 E-mail Web **Registered Owner** Company SHIRSHOV OCEANOLOGICAL SOUTH Country Russia Address Gelendzhik, Krasnodarskiy Kray, 353470, Russia Phone +7 86141 23261 Fax +7 86141 23189 E-mail Web
19	M-F ERKE	სამგზავრო გემი	მოლდავეთი	214181217	7014581	ბიჭვინთა 07.12.2013	**Manager** Company WIND SHIPPING APS Country Denmark Address Torvet 28, P O Box 4, DK-4600 Koge , Denmark Phone +45 5663 1999 Fax +45 5663 1661 E-mail oper@windship.dk, fixing@windship.dk Web http://www.windship.dk **Registered Owner** Company TENEDOS SHIPPING SA Country Turkey Address 3RD FLOOR, BLOK A, SHIPPING CENTRE, FAHRETTIN KERIM GOKAY CADDESI 18/1, ZUHTUPASA MAH, KADIKOY, ISTANBUL, TURKEY Phone Fax E-mail Web
20	TENEDOS	სატვირთო გემი	პანამა	351420000	8002743	ბიჭვინთა 07.12.2013	**Manager** Company SARI DENIZCILIK NAKLIYAT Country Turkey Address Meclis-i Mebusan Caddesi 90 Kilicalipasa Mah., Beyoglu Phone +90 212 157 1700 Fax +90 212 151 5767 E-mail Web **Registered Owner** Company PASTEL HOLDINGS LTD Country Liberia Address MONROVIA, LIBERIA Phone Fax E-mail Web

21	GELENDZHIK EXPRESS	რო-რო ტიპის გემი	მოლდავეთი ERIX	214180924	7725374	ბიჭვინთა 10.12.2013.	**Manager** Company **KALYONCU RO RO DENIZCILIK** Country Turkey Address Iskele Caddesi 30, Hancerli Mah, 55020 Samsun, Turkey. Phone +90 362 435 41 35 Fax +90 362 435 41 36 E-mail info@kalyoncudenizcilik.com Web http://www.kalyoncudenizcilik.com **Registered Owner** Company **EXPRESS SHIPPING MARITIME CORP** Country Turkey Address CARE OF KALYONCU RO RO DENIZCILIK NAKLIYAT TURIZM TICARET LTD STI, ISKELE CADDESI 30, HANCERLI MAH, ILKADIM, 55020 SAMSUN, Phone Fax E-mail Web
22	MUIRNEAG	სატვირთო გემი	პანამა 3FIS5	372584000	7722562	სოხუმი 10.12.2013	**Manager** Company **C-SHIPPING INC** Country Russia Address SUITE 303, UL ISAYEVA 2, NOVOROSSIYSK, KRASNODARSKIY KRAY, 353905, RUSSIA Phone Fax E-mail Web **Registered Owner** Company **ROSEWHITE SHIPPING SA** Country Russia Address CARE OF C-SHIPPING INC , SUITE 303, UL ISAYEVA 2, NOVOROSSIYSK, KRASNODARSKIY KRAY, 353905, RUSSIA Phone Fax E-mail Web
23	NIAGARA	ტანკერი	კუკის კუნძულები E5U2810	518863000	8003905	სოხუმი 14.12.2013	**Manager** Company **DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD SIRKETI** Country Turkey Address Cenab Sahabettin Sokak No. 42, Kosuyolu, Istanbul, Turkey Phone +90 216 327 4437 Fax +90 216 428 5157 E-mail office@densatankers.com Web http://www.densatankers.com **Registered Owner** Company **DEFNE TANKER ISLETMECILIGI** Country Turkey Address CARE OF DENSA TANKER ISLETMECILIGI LTD STI , CENAP SAHABETTIN SOKAK 42, KOSUYOLU MAH, KADIKOY, 34718 ISTANBUL, TURKEY Phone Fax E-mail Web

ფინანსური ანგარიში 2013 წელი

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არის ტვითდაფინანსებაზე და ''საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' ბრძანება არის სააგენტოს ბიუჯეტის შექმნის ძირითადი წყარო.

დიაგრამა 16 წარმოგიდგენთ სააგენტოს მიერ 2013 წელს გაწეულ ხარჯებს.

დიაგრამა16



დიაგრამა 17 - სააგენტოს 2013 წლის შემოსავალი



დიაგრამა 18 -ზე წარმოდგენილია სააგენტოს 2013 წლის წლიური შემოსავალი და ხარჯი;



დიაგრამა 19 - სააგენტოს ხარჯი 2012-2013წწ.



2012 წლის მონაცემებთან და ბრუნვასთან შედარებით 2013 წელს სააგენტოს შემოსავლებმა იმატა 1, 333,968 ლარით. იხილეთ ქვემოთ **დიაგრამა 20.**

დიაგრამა 20 - სააგენტოს შემოსავალი 2012-2013 წწ.



დიაგრამა 21-ბიუჯეტში შეტანილი თანხის მაჩვენებელი 2012-2013წწ.